განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოში მედია მდგომარეობის გაუმჯობესება. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონპროექტი ითვალისწინებს მთელ რიგ ცვლილებებს, რომლის ერთ-ერთი მიზანიცაა მედიის პოლიტიკური ზეგავლენისაგან გათავისუფლება. სწორედ ამ მიზნითაა განპირობებული ცვლილება, რომელიც შეეხება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა არჩევისა და გათავისუფლების წესს. სახალხო დამცველს ენიჭება უფლება დანიშნოს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ორი წევრი. ასევე უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე დასვას მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი თუკი მეურვე დაარღვევს „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის ნორმებს ან ზედიზედ 2 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს მეურვის უფლებამოსილებას. შესაბამისად საქართველოს ორგანულ კანონს „სახალხო დამცველის შესახებ“ აუცილებელია დაემატოს სპეციალური ნორმა, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის როლს სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესში.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი შესაბამისობაში მოვიდეს კანონპროექტთან „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ხელს უწყობს პოლიტიკური ზეგავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნას, რისთვისაც

- სახალხო დამცველი მონაწილეობას ღებულობს სამეურვეო საბჭოს ფორმირებაში და ნიშნავს მის ორ წევრს.
- სახალხო დამცველი ქმნის საკონკურსო კომისიას და პროცესის გამჭვირვალობის მიზნით თავის ვებ გვერდზე და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს მეურვეობის კანდიდატთა სიას.

6 · 3ი1ხ4ა0

- სახალხო დამცველს უფლება აქვს პარლამენტის წინაშე დასვას მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი თუკი მეურვე დაარღვევს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის ნორმებს ან ზედიზედ 2 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს მეურვის უფლებამოსილებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

არ საჭიროებს ხარჯებს

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იღებს რაიმე ახალ ფინანსურ ვალდებულებას

ბ.ე.) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ.) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის რაიმე გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

6. ძიძიგური

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო არასახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებების წარმომადგენლებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს;

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია: საქართველოს პარლამენტის წევრი ელისო ჩაფიძე;

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი.

Ctrl+Z 5